MES 8 23 0001033353

24/08/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 11.08.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:07 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:30 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ეფექტური ორგანიზებისა და შეფასების პროცესში ჩართული მხარეებისათვის მოქნილი სამუშაო პირობების შეთავაზების მიზნით, სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. რატი რატიანი - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
3. ნინო ბაქრაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
4. ირინე ებრალიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. ქეთევან ზურაშვილი - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
6. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
7. მარინე მაისურაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
8. ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. ლევან ნიკოლეიშვილი - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
10. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;

11. მარინა ქავთარაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
12. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. ნინო ღაღანიძე - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. ლაშა ჩხარტიშვილი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
15. თინათინ ჭაბუკიანი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
16. გურანდა ჭელიძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
17. მამუკა ხუსკივაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	გვანცა ძიძიგური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	არჩილ ჯანგირაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2.	სოსო გოგილიძე		პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში	I
3.	მირიან ტაბიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	I
4.	რამაზ ქვათაძე		ასოცირებული პროფესორი	I
5.	კახაბერ თავზარაშვილი		პროფესორი	I
6.	ვლადიმერ ღლონტი		პროფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
7.	გაიოზ ფარცხალაძე		პროფესორი, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი	II
8.				II

	ზურაბ მეგრელიშვილი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;	
9.	დავით ჩხაიძე		ასოცირებული პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II
10.	გოჩა ჩავლეშვილი		ასოცირებული პროფესორი, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
11.	თამარ გაგოშიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დეკანი, პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	III
12.	მანანა მელიქიშვილი		ასოც. პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	III
13.	ხათუნა მარწყვიშვილი		ასოც. პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	III
14.	ლილი ხეჩუაშვილი		ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	III
15.	შოთა ფოთოლაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
16.	ნინო ქიმერიძე		ასოცირებული პროფესორი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი	III
17.	დავით მახვილაძე	სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV, V, VI
18.	ხათუნა მხეიძე		სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	IV, V, VI
19.	ივანე ჯაგოდნიშვილი		სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	IV, V, VI
20.	ოთარ გელაშვილი		გელაშვილი, სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი	IV, V, VI

21.	ეკატერინე შაკიაშვილი		სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV, V, VI
22.	ნინო ჩიკვილაძე		სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV, V, VI
23.	ნათია ბუთხუზი		სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV, V, VI
24.	ავთანდილ ადეიშვილი		სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის მენეჯერი	IV, V, VI
25.	ვანო ჭიაურელი		„საზოგადოებასთან ურთიერთობის“ ბაკალავრიატის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	IV, V, VI
26.	ელდარ პირმისაშვილი		„საზოგადოებასთან ურთიერთობის“ ბაკალავრიატის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	IV, V, VI
27.	შოთა დოღონაძე		"საჯარო მმართველობის" ბაკალავრიატის და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი	IV, V, VI
28.	გიორგი ბაღათურია		"საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV, V, VI
29.	გენადი იაშვილი		"საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV, V, VI
30.	გოდერძი ტყეშელაშვილი		„სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის“	IV, V, VI

			საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	
31.	თინათინ აფხაიძე		პროფესორი	IV, V, VI
32.	გიორგი ზირაქაშვილი		პროფესორი	IV, V, VI
33.	ოთარ ბაღათურია		პროფესორი	IV, V, VI
34.	ირაკლი მიქავა		ასოცირებული პროფესორი	IV, V, VI
35.	თამარ კილაძე		პროფესორი	IV, V, VI
36.	გიორგი მაისურაძე		პროფესორი	IV, V, VI

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	საკითხი
1	მატე ჩანადი Mate Csanad	I
2	ავთანდილ თავხელიძე	I
3	დავით ფუტკარაძე	I
4	ინგა ბოჭოიძე	II
5	ნათია ბადრიშვილი	III
6	თეა კასრაძე	IV
7	ია ნაცვლიშვილი	IV
8	ირაკლი მანველიძე	V, VI, VII
9	ნატალია თვალჭრელიძე	VIII

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ნაწილაკების ექსპერიმენტული ფიზიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკის და ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის" საბაკალავრო პროგრამის არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საზოგადოებასთან ურთიერთობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ნაწილაკების ექსპერიმენტული ფიზიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკის და ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის" საბაკალავრო პროგრამის არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საზოგადოებასთან ურთიერთობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1.პირველი საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ნაწილაკების ექსპერიმენტული ფიზიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ნაწილაკების ექსპერიმენტული ფიზიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	

4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	ახალი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0533 ფიზიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77ა, 0171, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, საერთაშორისო ექსპერტმა მატე ჩანადიმ (Mate Csanad), განმარტა, რომ 2023 წლის 7 ივნისს ექსპერტები პირადად ეწვივნენ თბილისში მდებარე საქართველოს უნივერსიტეტს. ისინი შეხვდნენ საერთაშორისო აკრედიტაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორებს (აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს), პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს. ზოგიერთი თანამშრომელი, სტუდენტი და დამსაქმებელი შეხვედრებს ონლაინ დაესწრნენ. ექსპერტებმა ასევე მოინახულეს ბიბლიოთეკა და ამ პროგრამისთვის განკუთვნილი ლაბორატორიები, რომელთა ნაწილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიის ფიზიკის ინსტიტუტში მდებარეობს.

საგანმანათლებლო პროგრამა, როგორც ჩანს, ნაწილობრივ მაინც აკმაყოფილებს ყველა კრიტერიუმს. პროგრამა ნათლად აყალიბებს სასწავლო მიზნებსა და სასურველ შედეგებს, რაც შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის შინაარსი თანმიმდევრულია და უზრუნველყოფს სასურველი შედეგების მიღწევას. მაღალი ენერგიის ფიზიკის სპეციფიკური ცოდნის გარდა, არის ერთი მცირე ხარვეზი, რომელიც დაკავშირებულია სტუდენტების ზოგადი ფიზიკის ცოდნასთან.
წინაპირობები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და უზრუნველყოფს პროგრამის წარმატებას, თუ არ ჩავთვლით იმ სტუდენტების ზოგადი ფიზიკის ცოდნის დონეს, რომლებსაც არ გააჩნიათ ფიზიკის სწავლის გამოცდილება. გარდა ამისა, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს, შესაბამისი მომსახურების ჩათვლით. ასევე, უზრუნველყოფილია მაღალი დონის სამეცნიერო ხელმძღვანელობა. ხელმისაწვდომია პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურობას და მიზნების მიღწევას. და ბოლოს, შეიძლება აღინიშნოს, რომ პროგრამა იყენებს ხარისხის აუცილებელ გარანტიებს.
შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ნაწილაკების ექსპერიმენტული ფიზიკის" სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სტუდენტების ცოდნა ზოგად ფიზიკაში უნდა დადასტურდეს ჩარიცხვისას ან დასრულებისას. გარდა ამისა, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მხოლოდ ის სტუდენტები დაუშვას პროგრამაზე, ვისაც ფიზიკის სხვადასხვა ასპექტის (ბირთვული ფიზიკა, მასალათმცოდნეობა, ფიზიკის კომპლექსური სისტემები და ა.შ.) ცოდნა გააჩნიათ, ან ზოგადი ცოდნის არმქონე სტუდენტებს შესთავაზოს შესაძლებლობა აღნიშნული სასწავლო გეგმის მიღმა დაეუფლოს ზემოთაღნიშნულ დანარჩენ საგნებს. ექსპერტთა ჯგუფს ესმის, რომ გასაუბრების თემები უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ვებგვერდზე გამოქვეყნდება გასაუბრებამდე ერთი თვით ადრე; თუმცა იგი არ არის ხელმისაწვდომი ადგილზე ვიზიტის ან განხილვის დროს, სწორედ ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაადასტურა ზუსტი თემები.
2. გარდა ამისა, აუცილებელია იმის გარკვევა, თუ რა ცოდნა ფასდება ზეპირ გამოცდაზე. მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ფიზიკის მაგისტრატურის კურსდამთავრებულებისთვის საჭიროა ზოგადი ფიზიკის ცოდნა იმ შემთხვევაშიც, თუ მათი სპეციალიზაცია ნაწილაკების ფიზიკაა. და კვლავ, ექსპერტთა ჯგუფს ესმის, რომ გასაუბრების თემები ხელმისაწვდომი იქნება ფაქტობრივ გასაუბრებამდე, მაგრამ ის არ იყო ხელმისაწვდომი ადგილზე ვიზიტის ან განხილვის დროს.
3. უნდა გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა. აკადემიური პერსონალის უმეტესობა არ არის აფილირებული უმაღლეს სასწავლებლებთან და ასოცირდება სხვა ქართულ უნივერსიტეტებთან, რაც საფრთხეს უქმნის პროგრამის მდგრადობას.

4. პროგრამის ბიუჯეტში შევიდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიის ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამოყენების საფასური. (გასათვალისწინებელია, რომ ადგილზე ვიზიტის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო განახლებული ბიუჯეტი, რომელიც უკვე შეიცავდა ამ პუნქტს).
5. სილაბუსში უნდა მიეთითოს ლაბორატორიული სამუშაოები ლექციების შესაბამისად და არ უნდა იყოს არჩევითი, სხვა სიტყვებით, ყველა სტუდენტმა უნდა გაიაროს ერთი ან მეტი ლაბორატორიული კურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში არ იყო მოცემული დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე ექსპერტთა ჯგუფის კომენტარები, შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა გაეცნენ თუ არა ექსპერტები დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა განმარტა, რომ ჯგუფი გაეცნო არგუმენტირებულ პოზიციას და გარკვეული ასპექტები გაითვალისწინა, რაც ასახული იქნა დასკვნაში განსაზღვრულ ფრაგმენტულად, კერძოდ ექსპერტებისთვის ცნობილი გახდა, რომ საგამოცდო საკითხები საიტზე იქნება განთავსებული გამოცდამდე, ამასთან განახლებული იქნა პროგრამის ბიუჯეტი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული შეფასებისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულია 13 ლაბორატორიული სამუშაო, საიდანაც სტუდენტი ირჩევს, თუმცა ეს არ ნიშნავს რომ კურსი არის არჩევითი. ეს არის სავალდებულო, საიდანაც სტუდენტმა მინიმუმ 5 კურსი მაინც უნდა შეასრულოს, ვინაიდან ერთ მოსვლაზე ერთი სამუშაოს შესრულება საკამოდ რთულია და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიც. გამომდინარე აქედან, კურსი არ არის არჩევითი, სტუდენტი მხოლოდ ირჩევს იმას, თუ რომელ სამუშაოს გააკეთებს.
პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს ჩამოყალიბებული პროცედურა თუ როგორ უნდა მიიღოს მაგისტრანტობის კანდიდატი. მიღებისას უმთავრესი ასპექტია დარწმუნდეს კანდიდატის ცოდნასა და კომპეტენციაში, თუ რამდენად აქვს კანდიდატს საკმარისი ცოდნა დაძლიოს და ისწავლოს სამაგისტრო პროგრამაზე. საერთო სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ, სტუდენტს ენიშნება გამოცდა ინგლისურ ენაში და გასაუბრება სპეციალობაში. ინგლისური ენის მიზანია დარწმუნდეს რამდენად აქვს კანდიდატს B2 კომპეტენცია, ხოლო სპეციალობაში გასაუბრებით დგინდება კანდიდატის ცოდნა და კომპეტენცია სპეციალობაში. სპეციალობის თემატიკა გასაუბრებამდე, წინასწარ, ერთი თვით ადრე, იდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ამასთან, პროგრამის დაშვების წინაპირობაში განსაზღვრულია თუ რა კომპეტენციის და კვალიფიკაციის მცოდნე სტუდენტების მიღება იქნება შესაძლებელი და თავად დაშვების წინაპირობა გამორიცხავს საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიღმა მქონე პირის მიღებას. ამასთან, ოფიციალურ ვებ-გვერდზე წინასწარ ქვეყნდება თემატიკები პროგრამების მიხედვით. ამ პროგრამასთან მიმართებით გაცნობებთ, რომ თემატიკა მოიცავს ზოგადი ფიზიკის ცოდნის შემოწმებისთვის საჭირო საკითხებს.
მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა ის პერსონალი, რომელიც ჩართულია ამ პროგრამაში უნივერსიტეტის ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად არიან ცერნში ატლასის საქართველოს კლასტერის

კოლაბორაციაში გაერთიანებული. ამდენად, ასრულებენ ერთიან სამუშაოს, რაც უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამის მდგრადობას, თუმცა მოწვეული პერსონალისგან არის თანხმობა საქართველოს უნივერსიტეტთან აფილირების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ ცერნთან თანამშრომლობის დოკუმენტში არ არის მოცემული პროგრამის მაგისტრანტების მიერ ცერნში სამაგისტრო ნაშრომების მომზადების საკითხი. მოცემულია პროექტის აღწერა, თუმცა არ არის მაგისტრანტების ჩართულობის შესახებ ინფორმაცია. ამასთან, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, რამდენი სტუდენტის გაგზავნა არის განსაზღვრული ერთი სემესტრის განმავლობაში უცხოურ უნივერსიტეტებში და კონკრეტულად რომელ უნივერსიტეტებს გულისხმობს მოცემული აქტივობა, მნიშვნელოვანია ასევე დაზუსტდეს უზრუნველყოფს თუ არა დაწესებულების ბიუჯეტი სტუდენტის უცხოეთში ყოფნის ხარჯებს.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ აღნიშნა ,,გამოყენებითი ელექტრონიკის 2" სასწავლო კურსი და განმარტა, რომ სილაბუსის მიზანში წერია, რომ სტუდენტმა მიიღოს ცოდნა სხვადასხვა ციფრულ მოწყობილობებთან დაკავშირებით, გამომდინარე აქედან, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად შეესაბამება მოცემული ჩანაწერი სამაგისტრო დონეს. ამასთან, სწავლების მეთოდები არის ლექცია და პრაქტიკა, შესაბამისად რამდენად ხდება სასწავლო კურსის მიზანზე გასვლა ლაბორატორიული სამუშაოების გარეშე.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა თუ რამდენი სტუდენტის მიღება იგეგმებოდა პროგრამაზე და რა რაოდენობის აფილირებული პერსონალია საჭირო სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობისთვის.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ დააზუსტა ,,კვლევითი სემინარის" საკითხი და განმარტა, რომ პროგრამის მიხედვით „კვლევითი სემინარი" განსაზღვრულია მე-2 სემესტრში, ხოლო სამაგისტრო ნაშრომი მე-4 სემესტრში. კვლევით სემინარში პირდაპირ არის მითითებული, რომ ითვალისწინებს სტუდენტების სამაგისტრო თემი ან სამაგისტრო თემის მომიჯნავე საკითხების განხილვას, გამომდინარე აქედან საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ როდის ხდება სამაგისტრო თემის არჩევა.

საბჭოს წევრმა, თამარ სირაძემ აღნიშნა, რომ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია გარე შეფასება, შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ რა დოზით იქნა გათვალისწინებულია უნივერისტეტის მიერ აღნიშული მიგნებები.

საბჭოს წევრმა, მამუკა ხუსკივაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს გაფორმებული ხელშეკრულება თსუ მაღალი ენერგიის ფიზიკის ინსტიტუტთან, როგორც პრაქტიკის ობიექტთან, შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა მხოლოდ ეს არის თუ არა პრაქტიკის ობიექტი. ამასთან საბჭოს წევრმა აღნიშნა ,,ელემენტარული ნაწილაკების დეტექტორების" ორი ნაწილი, შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რატომ არ არის განსაზღვრული პროგრამაში ელექტრონული ნაწილაკების თეორია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომამდე პროგრამაში მითითებულია, რომ დაწესებულება იზრუნებს სტუდენტების ცერნის საზაფხულო სკოლაში მოსახვედრად და არა მარტო, ვინაიდან მსგავსი საზაფხულო სკოლები აქვს სხვა პარტნიორ უნივერისტეტებსაც. რაც შეეხება სტუდენტების რაოდენობას, უნივერსიტეტს ფინანსურად პრობლემა არ ექნება, შესაბამისად დამოკიდებულია დაინტერესებაზე. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომს, დაწესებულების წარმომადგენელი მუდმივად იმყოფება ცერნში, შესაბამისად ჩართულობასთან დაკავშირებით არ არის შეზღუდვა, რადგანა საქმე არის მუდმივად საკმაოდ ბევრი. სტუდენტი, გარდა იმისა, რომ იქ სწავლობს ასევე მუშაობს, ფაქტიურად უნივერსიტეტი აგზავნის კვალიფიციურ მუშახელს.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სილაბუსში განსაზღვრულია ზოგადი მიზანი, თუმცა თავად საკითხებში მოცემულია დამატებითი თემატიკები, რომლებიც ამ ზოგად მიზანს უნდა მოჰყვეს. რაც შეეხება ლაბორატორიულ სამუშაოს, დაწესებულებას აქვს ორი ლაბორატორია, სადაც მსგავსი სამუშაო შეიძლება შესრულდეს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში პრაქტიკულში იგულისხმება წრედებთან მუშაობა, შეიძლება ეს იყოს მოდელირება და კომპიუტერი, რაც შეიძლება ჩანაწერში მოცემული იყოს ან პრაქტიკული ან ლაბორატორიული მუშაობის სახით.
მნიშვნელოვანია ასევე, რომ ყველა ის ლექტორი, რომელიც ჩართულია პროგრამაში არის ექსპერტი თავის დარგში და მონაწილეობს რომელიმე დიდ ექსპერიმენტში. ამ მოცემულობით პროგრამას სრულიად შეუძლია 6 სტუდენტის მიღება ისე, რომ თითოეულ ლექტორს ჰყავდეს ერთი მაგისტრანტი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში ჩართულ ყველა პირს აქვს დოქტორის ხარისხი და დაწესებულება აქტიურად მუშაობის რეკომენდაციის შესაბამისად აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდაზე.
რაც შეეხება ,,სამაგისტრო სემინარს", მისი მიზანია ერთგვარი სპეციფიკის გამოყოფა, ანუ იმის დადგენა, თუ რა საკითხებთან მოუწევს მაგისტრანტს მუშაობა. სხვა მხრივ სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით მოქმედებს ზუსტად დაწესებულების ერთიანი პოლიტიკა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გარე შეფასება ძირითადად შეეხებოდა პროგრამის სტრიქტურას და მათ შორის სპეციფიკის გამოყოფას, რაზეც განსაზღვრული იქნა რჩევები, მატ შორის თუნდაც პროგრამის ძირითად კომპონენტთან მიმართებაში, როგორც უნდა ყოფილიყო სემესტრულად გადანაწილებული საგნები. შეფასება ძირითადად იყო საკმაოდ დადებითი და გარე შემფასებლის მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები სრულად იქნა ასახული დაწესებულების მიერ.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ვინაიდან პროგრამის ფარგლებში ძირითადად გამოიყენება აღნიშნული მიმართულების ლაბორატორია და ასეთი მხოლოდ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში არის მოცემულია, შესაბამისად თანამშრომლობაც სწორედ მათთან ხდება. რაც შეეხება სასწავლო კურსებს, პროგრამაში მოცემულია სამი თეორიული სასწავლო კურსი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:57
დასრულების დრო: 15:17
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ნაწილაკების ექსპერიმენტული ფიზიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ნაწილაკების ექსპერიმენტული ფიზიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2027 წლის 01 ივლისამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მხოლოდ ის სტუდენტები დაუშვას პროგრამაზე, ვისაც ფიზიკის სხვადასხვა ასპექტის (ბირთვული ფიზიკა, მასალათმცოდნეობა, ფიზიკის კომპლექსური სისტემები და ა.შ.) ცოდნა გააჩნიათ, ან ამ ზოგადი ცოდნის არმქონე სტუდენტებს შესთავაზოს შესაძლებლობა აღნიშნული სასწავლო გეგმის მიღმა დაეუფლონ ზემოხსენებულ საგნებს. გაითვალისწინეთ, ექსპერტთა ჯგუფს ესმის, რომ გასაუბრების თემები უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ვებგვერდზე https://ug.edu.ge/ge/programs/2 გამოქვეყნდება გასაუბრებამდე ერთი თვით ადრე; თუმცა იგი არ არის ხელმისაწვდომი ადგილზე ვიზიტის ან განხილვის დროს, სწორედ ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაადასტურა ზუსტი თემები;

- სასწავლო კურსის გამოყენებითი ელექტრონიკა 2 მიზანი და სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს მაგისტრატურის სწავლების დონესთან;

- სილაბუსში უნდა მიეთითოს ლაბორატორიული სამუშაოები ლექციების შესაბამისად და არ უნდა იყოს არჩევითი, სხვა სიტყვებით, ყველა სტუდენტმა უნდა გაიაროს ერთი ან მეტი ლაბორატორიული კურსი;

- რეკომენდებულია გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა;

- პროგრამის ბიუჯეტში უნდა შედიოდეს მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის (საქართველო) ლაბორატორიის არენდის საფასური.

რჩევები:

- პროგრამამ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა კურსდამთავრებულს ჰქონდეს ფიზიკის ფართო ცოდნა. ეს შეიძლება დადასტურდეს მისაღებ გამოცდაზე, ან უნდა არსებობდეს კლასები „დაწევისთვის“, რომლებიც ღიაა მათთვის, ვისაც ფიზიკის ან მათემატიკის ნაკლები ცოდნა აქვთ;

- თანამედროვე პედაგოგიური მიდგომები, როგორიცაა გემიფიკაცია, შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც სწავლაში, ისე სწავლის შედეგების შეფასებაში;

- მიზანშეწონილია, რომ უნივერსიტეტმა მოაწყოს შეხვედრები სტუდენტებსა და დამსაქმებლებს შორის.

2. მეორე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკის და ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	503618, 17.05.2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის მაგისტრი ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამთო საქმე და მოპოვება - 0724
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ბათუმი, 6010, ფიროსმანის ქუჩა 12, სასწავლო კორპუსი # 4
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა თამარ სირაძემ

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტისდასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ინგა ბოჭოიძემ განმარტა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიების“ სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით. აკრედიტაციის საბჭოს ამავე გადაწყვეტილებით, დაწესებულებას ანგარიშის წარმოდგენის ვადად განესაზღვრა 1 წელი - 2023 წლის 17 მაისამდე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში და დოკუმენტები მოიცავს ინფორმაციას და მტკიცებულებებს გაცემულ 12 რეკომენდაციასთან დაკავშირებით. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა შეასრულა მოცულობითი სამუშაო და გაითვალისწინა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები. სრულადაა შესრულებული - 5 რეკომენდაცია, მეტწილად - 6 რეკომენდაცია, ნაწილობრივ არის შესრულებული - 1 რეკომენდაცია.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია შესრულებულია მეტწილად. პროგრამის მიზნებში მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდა ნავთობისა და გაზის მოპოვების საკითხზე, მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს გაზისა და ნავთობის მარაგების შეფასებასა და დედამიწის წიაღიდან მათი მოპოვების დაგეგმვას, განხორციელებასა და ხელმძღვანელობას. რეკომენდაციის მიხედვით, პროგრამის მიზნების განსაზღვრას დაემატა სასაქონლო კონდენციამდე დაყვანის საკითხი. შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა პროგრამის სწავლის შედეგებში, სტრუქტურაში და სასწავლო კურსის სილაბუსებში, თუმცა პროგრამის შინაარსთან მიმართებით ზოგიერთი საკითხი დაზუსტებას საჭიროებს.

მეორე რეკომენდაცია შესრულებულია. პროგრამას დაემატა სასწავლო კურსი „ნავთობიანი საბადოების ექსპლუატაცია“, რომელშიც გათვალისწინებულია პრაქტიკული სამუშაოები ნავთობისა და გაზის საბადოს დამუშავების პროექტის შესადგენად. მაგ., წყლის ჩატუმბვის პროცესის პროექტირება, ჭაბურღილების მარილმჟავური დამუშავების პროექტირება. პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკის კურსიც. აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამა ცალკე კომპონენტად არ ითვალისწინებს პროექტის შედგენას. შესაბამისი სწავლის შედეგის განვითარებას უზრუნველყოფს სხვადასხვა სასწავლო კურსები, ხოლო ფორმირებას საწარმოო პრაქტიკის და სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტები.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, რეკომენდაცია შესრულებულია მეტწილად. პროგრამას დაემატა სასწავლო კურსი „ნავთობიანი საბადოების ექსპლუატაცია“, გადამუშავდა რიგი სასწავლო კურსების სილაბუსები, შეიცვალა კრედიტების რაოდენობა და შინაარსი. თუმცა რეკომენდაციის სრულად შესასრულებლად საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება.

მეტწილად იქნა ასევე შესრულებული მე-4 რეკომენდაცია, კერძოდ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შეიცვალა და დაზუსტდა. გადამუშავდა მისაღები გამოცდის საკითხები და დაემატა თემატიკა ნავთობ-გაზ-სარეწაო გეოლოგიიდან. შესწორდა ტერმინოლოგიური უზუსტობები, თუმცა კვლავ დასაზუსტებელია უცხო ენის კომპეტენციის საკითხი. კერძოდ, არ არის იმ უცხო ენების ჩამონათვალი, რომელთა B2 დონეზე ცოდნა მოითხოვება სამაგისტრო პროგრამაზე დაშვებისათვის.

მნიშვნელოვანია ასევე მე-5 რეკომენდაცია, რომელიც შესრულებულია მეტწილად. პროგრამას დაემატა სასწავლო კურსი „ნავთობიანი საბადოების ექსპლუატაცია“, გადამუშავდა სასწავლო კურსის „ნავთობის და გაზის მოპოვება და წინასწარი დამუშავების“ სილაბუსი, შეიცვალა ამ კურსის დასახელება და კრედიტების რაოდენობა 5-ის ნაცვლად განისაზღვრა 4-ით. სასწავლო კურსის დასახელებაა „ნავთობის და გაზის მოპოვება და სასაქონლო კონდიციამდე დაყვანა“, თუმცა პროგრამის სასწავლო გეგმაში ცვლილება არ განხორციელებულა, კურსის დასახელებასთან მიმართებით. მეტ განმარტებას საჭიროებს ამ სასწავლო კურსის კრედიტების

შემცირების საკითხი. შესაბამისად, რეკომენდაციის სრულყოფილად შესასრულებლად აუცილებელია, ნავთობის და გაზის მოპოვების მიმართულებით პროგრამის გაძლიერება - სამაგისტრო საფეხურთან შესაბამისობით.
რაც შეეხება მე-6 რეკომენდაციას, რეკომენდაცია შესრულებულია მეტწილად. გადამუშავდა რიგი სასწავლო კურსების სილაბუსები. გაიწერა პროგრამის სწავლის შედეგები აქტიური ზმნების გამოყენებით, ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისად. თუმცა ამ მიმართულებით სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გაწერა, მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად კვლავ საჭიროებს დაკონკრეტებას და დახვეწას.
სასწავლო კურსის „პროდუქტიულ ფენაზე ზემოქმედების მეთოდები“ სილაბუსში დაზუსტდა ტერმინოლოგია, გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად.
დაწესებულების მიერ ასევე მეტწილად შესრულდა მე-8 რეკომენდაციას, კერძოდ გადამუშავდა სასწავლო კურსის „ნავთობის და გაზის მოპოვება და სასაქონლო კონდიციამდე დაყვანა“ სილაბუსი. პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კურსი „ნავთობიანი საბადოების ექსპლუატაცია“, რომელშიც გადავიდა რეკომენდაციაში მითითებული საკითხები. მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მუშაობა პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მიმართულებით.
მე-9 რეკომენდაცია შესრულებულია. პროგრამას დაემატა შესაბამისი კვალიფიკაციის, პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალი, რომლებსაც შეუძლია უხელმძღვანელონ ნავთობისა და გაზის მოპოვების თემატიკით დაინტერესებულ მაგისტრებს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას. დაწესებულება გეგმავს ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებას.
რაც შეეხება მე-10 რეკომენდაციას, პროგრამის გაძლიერების მიზნით მოწვეული იქნა ორი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომლებიც სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩაერთვებიან, როგორც სასწავლო კურსის „ნავთობიანი საბადოების ექსპლუატაცია“ განმახორციელებლები, ასევე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები. ამ მიმართულებით ინსტიტუცია გეგმავს მუშაობის გაგრძელებას.
მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ ნაწილობრივ შესრულდა მე-11 რეკომენდაცია, კერძოდ რეკომენდაციის შესრულების მიზნით, დაწესებულების თვითშეფასებიდან და წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გამართა სამუშაო შეხვედრა, სადაც განიხილეს სწავლის შედეგების ფორმულირებასთან და შეფასებასა და გაზომვადობასთან დაკავშირებული საკითხები. მასალებიდანვე ირკვევა, რომ დაგეგმილია ინოვაციური განათლების ცენტრის ტრენინგი "როგორ გავწეროთ საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო კურსებში კომპონენტებში სწავლის შედეგები ვალიდურად/როგორ იყოს წავლის შედეგები გაზომვადი". შესაბამისად, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სჭირდება მეტი მხარდაჭერა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება.
გარდა ამისა, ბსუ-ს მოქმედი რეგულაციის შესაბამისად, შიდა მონიტორინგის მექანიზმი მოიცავს: მეცადინეობებზე ურთიერთდასწრებას (შეფასების ფორმა ატვირთულია უნივერსიტეტის ელექტრონულ სერვისებში), სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესწავლას, საგამოცდო ნაშრომების შეფასების მონიტორინგს, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების განხილვას. აღნიშნული მონაცემების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე, გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ. დადგენილება გაგზავნა ყველა დაინტერესებულ პირს, ხოლო რეკომენდაციები გათვალისწინებულია 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმაში.
ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ დაწესებულებამ საკმაოდ დიდი სამუშაო გასწია და შეასრულა ყველა რეკომენდაცია, რისი შესრულებაც იყო შესაძლებელი მოცემული დროის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა ხომ არ იყო რეკომენდაციების ნაწილში აღქმის პრობლემა, ვინაიდან ექსპერტის მიერ დადასტურებული იქნა, რომ სრულად შესრულდა მხოლოდ 5 რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და აღნიშნა, რომ რეკომენდაციების აღქმასთან დაკავშირებით არ ყოფილა არანაირი პრობლემა. ის რეკომენდაციები, რომელთან შესრულებაც მეტწილად იქნა შეფასებული ატარებს დინამიურ ხასიათს. მათ შორის არის ის ერთი რეკომენდაცია, რომლიც შესრულებულია ნაწილობრივ და ეხება აკადემიური პერსონალისთვის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებასა და ფორმულირებასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების ორგანიზებას. ამასთან დაკავშირებით, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გამართა სამუშაო შეხვედრა, სადაც განიხილეს სწავლის შედეგების ფორმულირებასთან და შეფასებასა და გაზომვადობასთან დაკავშირებული საკითხები. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ დაწესებულების ბიუჯეტში 100 000 ლარი გათვალისწინებულია პროფესიული განვითარებისათვის, მათ შორის 40 000 ლარი არის გათვალისწინებული სწორედ ტრენინგების ჩატარებისათვის. უნივერსიტეტს სულ დაგეგმილი აქვს 9 თემატური ტრენინგის ჩატარება. მათ შორის, დაგეგმილია ინოვაციური განათლების ცენტრის ტრენინგი "როგორ გავწეროთ საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო კურსებში კომპონენტებში სწავლის შედეგები ვალიდურად/როგორ იყოს წავლის შედეგები გაზომვადი". შესაბამისად, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სჭირდება მეტი მხარდაჭერა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ძირითადად რაც გამოიკვეთა,უნდა განვითარებულიყო ნავთობის მოპოვების მხარე. შესაბამისად, დაწესებულებამ დააკორექტირა მისი მიზანი, შედეგები, დაემატა ასევე სასწავლო კურსი, განისაზღვრა საკითხები მისაღები გამოცდისთვის, გამომდინარე აქედან დაწესებულებისთვის გაუგებარია თუ რატომ შეფასდა რეკომენდაცია როგორც მეტწილად შესრულებული და არა სრულად. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა მიზანი.

ექსპერტმა განმარტა, რომ თავის დროზე საბჭომ იმიტომ მიიღო რეკომენდაციების შესახებ გადაწყვეტილება, რომ გარკვეული სამუშაოები ერთი წლის ვადაში შეიძლება შესრულებულიყო და წელიწადი და ექვსი თვის შემდე უკვე სრულად შესაძლებელი იყო მათი შესრულება. რაც ექსპერტის მიერ შეფასდა როგორც მეტწილად შესრულებული, არის ერთმანეთთან დაკავშირებული რეკომენდაციები. ამ ეტაპისთვის ის რაც შეიძლება გაძლიერებულიყო, იგივე ადამიანური რესურსების მიმართულებით, დაწესებულების მიერ შესრულდა. გარკვეული კომპონენტები გაძლიერდა, თუმცა შესაძლებელია მათი კიდევ უფრო გაძლიერება. მოპოვების თემასთან დაკავშირებით, სილაბუსის საკითხები იწყება ზოგადი დახასიათებით რომელთა კომპეტენციები უკვე მიღებული აქვს დაწესებულებას, მაგრამ არის დეტალები რომლებსაც სჭირდებათ კომპლექსური გააზრება, იგივე პერსონალთან, ტრენინგებთან და სწავლის შედეგებთან დაკავშირებით. 12 რეკომენდაციიდან ამ ეტაპისთვის 11 შესრულებულია, მაგრამ საჭიროებს კიდევ განვითარებას.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ახალი სასწავლო კურსი „ნავთობიანი საბადოების ექსპლუატაცია“ გულისხმობს პროექტების შესრულებასა და საბადოების განვითარებას. ამასთან დაწესებულებამ დაამატა აკადემიური პერსონალიც. რაც მოეთხოვებოდა დაწესებულებამ, უნივერსიტეტმა ძირითადად ყველაფერი შეასრულა, თუმცა ექსპერტის შეფასების შესაბამისად კიდევ სჭირდება გაძლიერება საკითხებს, რაც დაწესებულებისთვის გაუგებარია.

დაწესებულებამ დაამატა ახალი სასწავლო კურსი, თუმცა ექსპერტთა შეფასების შედეგად კიდევ არსებობს საჭიროება გარკვეული ცვლილებების დამატების, რაც ასევე გაუგებარია თუ რა უნდა გააკეთოს კიდევ დაწესებულებამ.
ექსპერტმა განმარტა, რომ ნავთობისა და გაზის მოპოვების მიმართულებით განსაზღვრულია ორი სილაბუსი, რომელთა თემატიკაში განსაზღვრულია ნავთობისა და გაზის მოპოვების ზოგადი თემატიკა, ისევე როგორც ზოგადი დახასიათება. ანალოგიური სასწავლო კურსი ასევე განსაზღვრულია საბაკალავრო საფეხურზეც. ამასთან ზოგადი დახასიათების სასწავლო კურსების არ არის რელევანტური სამაგისტრო საფეხურზე, ვინაიდან საგნებში განსაზღვრული საკითხები მოცემულია მისაღები გამოცდის საკითხები სახითაც. გამომდინარე აქედან, არის მსგავსი დეტალები, რომლებსაც სჭირდებათ კომპლექსური დამუშავება და გააზრება. პროგრამის კვალიფიკაციაა ნავთობისა და გაზის მოპოვება და ორი კურსის ფარგლებში საკითხი სრულად რა თქმა უნდა ვერ დაიფარება. ამასთან რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობას, აქვს გასაძლიერებელი საკითხი ვინაიდან რამდენი მაგისტრანტის ხელმძღვანელობას შეძლებს ორი პირი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ექსპერტი აკეთებს შეფასების იმის მიხედვით თუ მომავალში რა იქნება გასაკეთებელი. ანგარიში უნდა შეფასდეს ისე, როგორც ანგარიშშია წარმოდგენილი, ამასთან ყველაფერი უნდა იყო გაზომვადი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:00
დასრულების დრო: 16:07
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკის და ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
ტექნიკური ხარვეზიდან გამომდინარე საბჭოს ერთმა წევრმა ვერ მიიღო ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობა
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტის 2^{11} ქვეპუნქტის საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკის და ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	1205376, 09/11/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი ფსიქოლოგიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313, ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზ 11ა თბილისი, 0179 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა - მამუკა ხუსკივაძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამა შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, სრულ შესაბამისობაშია პირველ სტანდარტთან. ასევე ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას რეკომენდაციასთან დაკავშირებით პოზიცია არ წარმოუდგენია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაციის შესრულების შესახებ ანგარიში დაწესებულების მიერ წარდგენილი იქნა ცენტრში და პასუხიც არის მიღებული. ვინაიდან ინგლისური ენა პროგრამაზე ისედაც ისწავლება დაწესებულებამ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ არ დაემატებინა ცალკე სასწავლო კურსი, თუმცა ინგლისური ენის პროფესორები, რომლებიც ასწავლიან ინგლისურ ენას პროგრამის ფარგლებში, მათთან აქტიური მუშაობით მოხდა ინგლისური ენოს კურსების გადახალისება, რასაც დაემატა პროფესიული ინგლისური ენის საკითხები, რის შესახებაც ინფორმაცია დეტალურად არის წარმოდგენილი ანგარიშში. რაც შეეხება თვითონ სილაბუსს, აღნიშნული მომზადდა და

განახლდა თუმცა ჯერ არ არის წარმოდგენილი, ვინაიდან ანგარიშის წარმოდგენის დროისთვის კვლავ გრძელდებოდა მუშაობა სილაბუსზე. ამასთან ვინაიდან აკადემიური საბჭო ისვენებს ვერ მოხდა სილაბუსის დამტკიცება, აღნიშნული განხორციელდება სექტემბერში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:17
დასრულების დრო: 17:42
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

ამასთანავე საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, სასწავლო კურსის სილაბუსი ინგლისურ ენაში, დაწესებულების განმარტებით სექტემბერში უნდა დამტკიცდეს აკადემიური საბჭოს მიერ. საბჭოს სთხოვს დაწესებულებას, ამ სილაბუსის დამტკიცების შემდეგ, დოკუმენტის ცენტრში წარმოდგენას (შემდგომ ცენტრი მიაწოდებს საბჭოს), წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ეს გახდეს შემდგომში მონიტორინგის განხორციელების საფუძველი.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის" საბაკალავრო პროგრამის არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	685545, 07/07/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-

8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ.168, ქ. თბილისი, სასწავლო კორპუსი 1, 0175, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განცხადა- ქეთევან ქუთათელაძემ და მარინე მაისურაძემ

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის პირობების შესრულების შესაფასებლად არაგეგმიურ მონიტორინგზე წარმოდგენილია ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა ,,სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“. ექსპერტთა ჯგუფს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის 2023 წლის 30 მაისის ბრძანებით, დაევალა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 16 თებერვლის სხდომის ოქმის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმება.

საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“ ხორციელდება სტუ-ს სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ბაზაზე. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2021 წლის 7 ივლისს. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა 7 წლიანი აკრედიტაცია ერთი წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით და მონიტორინგით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგი, კერძოდ პროგრამის 1.2, 1.3, 1.4, 1.5, 2.2 და 5.3 სტანდარტების კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება, განხორციელდა წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე. ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა ჯგუფის წევრებზე დავალებები. დოკუმენტების შესწავლის პროცესში ექსპერტებს ჰქონდათ ერთმანეთთან მჭიდრო კომუნიკაცია დისტანციურად: ცვლიდნენ ინფორმაციას წარმოდგენილი სააკრედიტაციო მასალების შესახებ, აჯერებდნენ კონკრეტულ ბუნდოვან საკითხებს, უზიარებდნენ ერთმანეთს მოსაზრებებს საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე.
არაგეგმიურ მონიტორინგზე წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ: სრულ შესაბამისობაშია - 1.4 და 5.3 სტანდარტების კომპონენტებთან, მეტწილ შესაბამისობაშია - 1.2, 1.3, 1.5, და 2.2 სტანდარტების კომპონენტებთან.
უნივერსიტეტის მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება სრულად ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ I, II და V სტანდარტების ფარგლებში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და შეფასებებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. საჭიროა შედეგებში აქცენტი გაკეთდეს სამეწარმეო ბიზნესზე ნაცვლად სატრანსპორტო და სამრეწველო კომპანიებისა. პროგრამის კურიკულუმი ისეა აწყობილი, რომ რეალურად პროგრამის სტუდენტი სამეწარმეო ბიზნესში იძენს ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. ამიტომ, შედეგების დაკორექტირება მარტივად არის შესაძლებელი, რათა ისინი შესაბამისობაში მოვიდნენ ერთის მხრივ პროგრამის მიზანთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან, მეორეს მხრივ კი იმ ცოდნასთან, უნარებთან, ან/და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობასთან, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.
2. მოხდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტის მოდიფიცირება მასში შესაბამისი სწავლის შედეგებისათვის შეფასების არაპირდაპირი მეთოდების შემუშავებით.
3. მოხდეს სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების, განსაკუთრებით შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების, დაკორექტირება ისე, რომ ისინი ითვალისწინებდნენ სასწავლო კურსის სპეციფიკას;
4. მეტი ყურადღებით შეირჩეს საბაკალავრო ნაშრომების თემები, რათა ისინი შეესაბამებოდნენ მისანიჭებელ კვალიფიკაციას;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ პროგრამაზე განსაზღვრული იყო საკამოდ ბევრი რეკომენდაცია, რაც დაწესებულებამ დეტალურად განიხილა და დიდი უმრავლესობა სრულად შეასრულა. რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, მოცემულ შემთხვევაში პრობლემა იყო აღქმაში და არის ფორმულირების პრობლემა პროგრამა სრულად მოიცავს სამეწარმეო ბიზნესის მართვის საკითხებს.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გამოცდილებამ აჩვენა, რომ არაპირდაპირი მეთოდების გამოყენება უფრო უკავშირდება კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს, თუმცა დაწესებულებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს არაპირდაპირი მეთოდების დამატება.
რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, დაწესებულებამ მოახდინა არა ერთი სილაბუსის მოდიფიცირება, თუმცა დარჩა კიდევ რამდენიმე სილაბუსი რაზეც დაწესებულება აქტიურადაც გააგრძელებს მუშაობას.
მნიშვნელოვანია ასევე მე-4 რეკომენდაცია, კერძოდ დაწესებულებას საანგარიშო პერიოდი ჰქონდა 60 დღე, ამიტომ ვერ მოხდება მისი სრულად შესრულება, თუმცა სავარაუდო თემატიკა ხელმოწერილი და გაგზავნილია ექსპერტებთან, რაც არის პირველადი ვერსია თუ რაზე ჩამოყალიბდა დეპარტამენტი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა მე-3 რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ინგლისურ ენას და ექპერტის მიერ შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესრულებული.
ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაცია გაცემული იქნა გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში და განმარტა, რომ დაწესებულებაში ისწავლება რამდენიმე უცხო ენა, კერძოდ ვინც ფრანგულს აბარებს ეროვნულ გამოცდაზე სწავლობდა ფრანგულს და ასე შედმეგ, თუმცა ექსპერტები მოუწოდებდნენ დაწესებულებას რომ აუცილებელია ყველას ჰქონდეს ინგლისური ენის შესწავლის შესაძლებლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ ასევე გამოყო მე-11 რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პლაგიატზე შემოწმების საკითხს და რაც ექპერტის მიერ შეფასებულია როგორც არ არის შესრულებული.
ექსპერტმა განმარტა, რომ მოცემული საკითხი ამ ეტაპზე განისაზღვრა რჩევის სახით, ვინაიდან ექსპერტებს არ მისცემიათ საშუალება გაცნობოდნენ ნაშრომებს, ვინაიდან ძველი ნაშრომები არ არის ხოლო ახლები ჯერ არ არსებობს.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:11
დასრულების დრო: 18:17
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის" საბაკალავრო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის" საბაკალავრო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	6.07.2022, №769221
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას გამზ. 77, VI კორპუსი, 01721, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	06.07.2022 №769303
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
		კოსტავას გამზ. 77, VI კორპუსი, 01721,

14	განხორციელების ადგილი	თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	06.07.2022 №769360
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას გამზ. 77, VI კორპუსი, 01721, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ქეთევან ქუთათელაძემ და მარინე მაისურაძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტმა, ირაკლი მანველიძემ, რომელმაც განახორციელა რეკომენდაციების შესრულების ანგარიშების შეფასება, სსიპ-საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა 2022 წლის 21 ივნისს. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაციის შვიდი წლის ვადით.
საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით განისაზღვრა 13 რეკომენდაცია, სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით 8 და სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით 3. მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად განესაზღვრა ერთი წელი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დაწესებულებამ წარმოდგენილი ყველა რეკომენდაცია შეასრულა ყველა პროგრამასთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ აქტიურად იმუშავა პროგრამაზე და განახორციელა შესაბამისი ცვლილებები.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:20
დასრულების დრო: 18:21
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტის 2^{11} ქვეპუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტის 2^{11} ქვეპუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტის 2^{11} ქვეპუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში.

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საზოგადოებასთან ურთიერთობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებასთან ურთიერთობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	27.01.2022, №76909
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებასთან ურთიერთობის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მარკეტინგი და რეკლამა - 0414
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. №77 თბილისი, კორპ №6, 0175, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი
თვითაცილება განაცხადა-ქეთევან ქუთათელაძემ და მარინე მაისურაძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი პროგრამის მონიტორინგის მიზნით იმყოფებოდა დაწესებულებაში 2023 წლის 5 მაისს. შეხვედრები შედგა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან. მონიტორინგის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სტუ-ს ბიბლიოთეკა. ექსპერტებმა ასევე დაათვალიერეს სტუდენტთა ელექტრონული პორტალი, გაეცნენ ბიბლიოთეკის საძიებო სისტემას და ბაზებს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა პროგრამის 1, 2, 4.1 და 5 სტანდარტებთან შესაბამისობა. მონიტორინგის ვიზიტისას დადგინდა, რომ უსდ-მ შეასრულა პროგრამის აკრედიტაციისას გაცემული, რეკომენდაციები და რამდენიმე რჩევა. აქედან გამომდინარე, პროგრამა სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა და გაატარა შესაბამისი ცვლილებები.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:26
დასრულების დრო: 18:29
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საზოგადოებასთან ურთიერთობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

ტექნიკური ხარვეზიდან გამომდინარე საბჭოს ერთმა წევრმა ვერ მიიღო ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობა.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე

პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საზოგადოებასთან ურთიერთობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2023 წლის 11 აგვისტოს 18:30 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი